

**სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი**

სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტი  
საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა:

**“ბიზნესის ადმინისტრირება”  
“Business Administration”**

ფართო სფერო: 04 - ბიზნეს, ადმინისტრირება და სამართალი Business, Administration and Law

ვინრო სფერო: 041 ბიზნესი და ადმინისტრირება Business and Administration

დეტალური სფერო: 0413 მენეჯმენტი და ადმინისტრირება Management and Administration  
(0413.1.2 ბიზნესის ადმინისტრირება Business Administration)

**პროგრამის ხელმძღვანელები:** ია ჯიმპიტაშვილი, პროფესორი, ეკონომიკის აკადემიური  
დოქტორი; რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე, ეკონომიკის დოქტორი.

1. მიღებულია ფაკულტეტის საბჭოს მიერ
2. ოქმი №11, 4.06.2024წ.

ფაკულტეტის დეკანი:

/თ. თამარაშვილი/

3. რეკომენდებულია ფაკულტეტისა და უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურების მიერ

ოქმი №10 4.06.2024 წ.

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის  
სამსახურის ხელმძღვანელი:

/ს. თათულიშვილი/

4. დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს მიერ  
ოქმი № 15 4.06.2024 წ.

უნივერსიტეტის რექტორი:

/მ. ჭკადუა/

**თელავი  
2024**

**ფაკულტეტი:** სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის

**დეპარტამენტი:** სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის

**საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება:** ბიზნესის ადმინისტრირება

*Business Administration*

**პროგრამის ანალოგ(ებ)ი:** პროგრამა შემუშავებულია ევროპის, აშშ-ს და მსოფლიოს უნივერსიტეტების მსგავსი პროგრამების გამოცდილების გათვალისწინებით, კერძოდ:

შვეიცარიის ბიზნესის სკოლა (<https://www.sbs.edu/bachelor-programs/bsc/curriculum>), ბრიჯპორტის უნივერსიტეტის

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა (<https://www.bridgeport.edu/academics/programs/business-administration-bs/curriculum>), პორტოს

(<https://www.mci.edu>), მადრიდის და

1. <http://www.umuc.edu/academic-programs/business-and-management/index.cfm> UMUC (University of Maryland University Collage, USA)
2. <http://www.ie.edu/university/studies/academic-programs/bachelor-business-administration/> IE University (Madrid, Spain)
3. <http://www.bi.edu/bachelor/bachelor-of-business-administration/programme-structure/> Norwegian Business School (Norway)
4. <http://carey.jhu.edu/academics/bachelor-of-business-administration/> Johns Hopkins University (Baltimore, USA)
5. <https://catalog.ufl.edu/ugrad/current/courses/descriptions/business-administration.aspx> UF (University of Florida, USA)
6. [http://business.gwu.edu/wp-content/uploads/2013/12/BBA\\_4-Year\\_Worksheet\\_FA09\\_Curriculum\\_revJune2014.pdf](http://business.gwu.edu/wp-content/uploads/2013/12/BBA_4-Year_Worksheet_FA09_Curriculum_revJune2014.pdf) (George Washington University, USA)

**საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელები:**

- ია ჯიმშიტაშვილი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, პროფესორი, ტელ. (+995) 595194036, ელ. ფოსტა: [ia.jimshitashvili@tesau.edu.ge](mailto:ia.jimshitashvili@tesau.edu.ge).

- რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე, ეკონომიკის დოქტორი, ტელ. (+995) 577237383, ელ. ფოსტა: [rusudan.dalakhishvili.chichinadze@tesau.edu.ge](mailto:rusudan.dalakhishvili.chichinadze@tesau.edu.ge)

**აკადემიური განათლების საფეხური:** ბაკალავრიატი (1-ლი საფეხური)

**საგანმანათლებლო პროგრამის ტიპი:** ძირითადი

**სწავლების ენა:** ქართული

**მისანიჭებელი კვალიფიკაცია:** ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი

*Bachelor of Business Administration*

**პროგრამის მოცულობა კრედიტებით:** 180 კრედიტი.

**პროგრამაზე დაშვების წინაპირობა:** საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესი, კერძოდ, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე შეუძლია ჩარიცხვა საქართველოს მოქალაქეს, რომელსაც გააჩნია სრული ზოგადი განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი და წარმატებით ჩააბარებს საქართველოს ეროვნული საგამოცდო ცენტრის მიერ ადმინისტრირებულ გამოცდებს. პირის ჩარიცხვა, რომელიც არ არის საქართველოს მოქალაქე, რეგულირდება საქართველოს კანონით უმაღლესი განათლების შესახებ.

### **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპების ფართო თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და კრიტიკული აზროვნების უნარის მქონე კონკურენტუნარიანი ბაკალავრის მომზადება, რომელიც მისი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს:

- ბაზარზე ორიენტირებული ხედვით, ბიზნესის დაგეგმვას, კონტროლს და ადმინისტრირებას;
- ბიზნესის ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის დაცვით, ბიზნესის სფეროსთვის დამახასიათებელი მმართველობითი, ფინანსური და მარკეტინგული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.

**სწავლის შედეგი:** საგანმანათლებლო პროგრამა შესაძლებლობას აძლევს სტუდენტს შეიძინოს ცოდნა, გამოიმუშაოს შესაბამისი უნარ-ჩვევები და მოახდინოს მათი დემონსტრირება შემდეგი მიმართულებით:

### **ცოდნა და გაცნობიერება**

1. აღწერს ბიზნეს სუბიექტების ფუნქციონირებაზე მოქმედ შიდა და გარე გარემოს, კომპანიის განვითარების ძირითად მიმართულებებს და სტრატეგიის ძირითად ინსტრუმენტებს, ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროში მიმდინარე მოვლენებსა და ბიზნეს პროცესებს;
2. აღწერს ორგანიზაციაში მართვის ძირითად ელემენტებს, მათ მნიშვნელობას კომპანიის წარმატებაში, მართვის ძირითად თეორიებსა და კონცეფციებს, მენეჯმენტისა და მენეჯერის ფუნქციებს და პასუხისმგებლობას;
3. განიხილავს მარკეტინგულ სტრატეგიებსა და პოლიტიკას, ეფექტურად აჩვენებს ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყენების გზებს;
4. ახდენს სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების და დამუშავების მეთოდების იდენტიფიცირებას;
5. მათემატიკური ელემენტების გამოყენებით იხილავს მოთხოვნისა და მიწოდების კანონებს, მაკროეკონომიკის ძირითად მაჩვენებლებს, საბაზრო მექანიზმის ძირითად მახასიათებლებს და ფინანსურ ინსტრუმენტებს;

### **უნარი**

6. აანალიზებს კომპანიის რესურსების გამოყენებას, პროექტების მართვასთან, სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებული პრობლემებს და შეიმუშავებს არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს;

7. ახდენს ბიზნეს გარემოსა და ბიზნესთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას და რისკების მართვის მექანიზმის გამოყენებით ახორციელებს მასზე რეაგირებას;
8. ბიზნესის ღირებულების ზრდის და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისათვის ახდენს ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის ინსტრუმენტების შერჩევას, აღწერას, შესახებას, რეაგირებას და ფინანსური ანგარიშგების დემონსტრირებას;
9. ახდენს კომპანიის საქმიანობისას წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ჩვენებას, ანალიზის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, მიზნობრივი პროექტების შემუშავებას და დემონსტრირებას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;

### **პასუხისმგებლობა და ავტონომიურობა**

10. გუნდში ლიდერობის ან/და თანამშრომლობითი პრინციპების გათვალისწინებით მოქმედებისას, პატივს სცემს და იცავს ორგანიზაციის სოციალურ პასუხისმგებლობას და ბიზნეს ეთიკის ნორმებს, რის საფუძველზეც, სასჭიროების შესაბამისად ადგენს საკუთარი სწავლისა და პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმას.

**სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდები და ფორმები:** სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი: ლექციები ინტერაქტიული მეთოდების გამოყენებით, სემინარები, წერიტი და ვიდეოსიტიყვიერი მუშაობის მეთოდები, პრაქტიკული მუშაობის მეთოდი, (პრეზენტაცია, მუშაობა online-რეჟიმში), ჯგუფური მუშაობის მეთოდები, ინტერქტიური და დედუქტიური, ანალიზის და სინთეზის მეთოდები და სხვა, რომლებიც ასახულია კონკრეტული საგნის სილაბუსში.

- |  |   |  |
|--|---|--|
| <input type="checkbox"/> ლექცია                    | <input type="checkbox"/> სამუშაო ჯგუფში მუშაობა | <input type="checkbox"/> სემინარი                      |
| <input type="checkbox"/> საბაკალავრო ნაშრომი       |   | <input type="checkbox"/> პრაქტიკული მუშაობა            |
| <input type="checkbox"/> საშინაო დავალება/რეფერატი |   | <input type="checkbox"/> ელექტრონული რესურსით სწავლება |
| <input type="checkbox"/> სასწავლო პრაქტიკა         | <input type="checkbox"/> ესე                    | <input type="checkbox"/> სხვა                          |

პროფესორი შესაძლოა იყენებდეს ზემოთ ჩამოთვლილ ერთ ან რამდენიმე მეთოდს ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო კურსის ამოცანიდან გამომდინარე. კონკრეტული სასწავლო კურსის სწავლება-სწავლის მეთოდები ასახულია შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსში.

**ლექცია** - რომლის დანიშნულებაც სასწავლო პროგრამით გათვალისწინებული ძირითადი თემატიკის განხილვა და სტუდენტის უზრუნველყოფა სათანადო ინფორმაციით. სალექციო კურსები ორიენტირებულია სფეროში თეორიული კვლევისა და დაგროვილი გამოცდილების შესწავლაზე.

**სემინარული მუშაობა** - სემინარებზე ყურადღების კონცენტრირება ხდება ტიპური ამოცანების და ქვისების შესრულებაზე, რაც უზრუნველყოფს სტუდენტის მიერ შეძენილი ცოდნის

პრაქტიკაში გადატანის უნარ-ჩვევების განმტკიცებას. **სემინარის დანიშნულებაა** სტუდენტს მიეცეს ლექციაზე მოსმენილი თემების გაღრმავების საშუალება.

სწავლის შედეგების მისაღწევად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი:

➤ **ვერბალური, ანუ ზეპირსიტყვიერი მეთოდი** – ახალი მასალის გადაცემა ზეპირსიტყვიერად, თხრობითი სახით, რომლის დროსაც კომპლექსურად გამოიყენება სხვადასხვა მეთოდი თემატიკის შინაარსიდან გამომდინარე.

➤ **წიგნზე მუშაობის მეთოდი** - მეთოდი ძირითადად სწავლის პროცესში გამოიყენება. სტუდენტი სურვილის მიხედვით ამუშავებს რეფერატს ან/და პრეზენტაციას, სტატიებს სამეცნიერო კონფერენციებისათვის.

➤ **გონებრივი იერიში (Brain storming)** - ეს მეთოდი გულისხმობს კონკრეტული თემის ფარგლებში კონკრეტული საკითხის/პრობლემის შესახებ მაქსიმალურად მეტი, სასურველია რადიკალურად განსხვავებული, აზრის, იდეის ჩამოყალიბებასა და გამოთქმის ხელშეწყობას. აღნიშნული მეთოდი ხელს უწყობს პრობლემისადმი შემოქმედებითი მიდგომის განვითარებას. ეს მეთოდი ეფექტურია სტუდენტთა მრავალრიცხოვანი ჯგუფის არსებობის პირობებში და შედგება რამდენიმე ძირითადი ეტაპისგან:

- პრობლემის/საკითხის შემოქმედებითი კუთხით განსაზღვრა.
- დროის გარკვეულ მონაკვეთში აუდიტორიისგან საკითხის ირგვლივ არსებული იდეების კრიტიკის გარეშე ჩანიშვნა (ძირითადად დაფაზე).
- გამორიცხვის გზით იმ იდეების გამორჩევა, რომლებიც ყველაზე მეტ შესაბამისობას ავლენს დასმულ საკითხთან.
- კვლევის მიზანთან იდეის შესაბამისობის დასადგენად შეფასების კრიტერიუმების განსაზღვრა.
- შერჩეული იდეების შეფასება წინასწარ განსაზღვრული კრიტერიუმებით.
- უმაღლესი შეფასების მქონე იდეის, როგორც დასახული პრობლემის გადაჭრის საუკეთესო საშუალების გამოვლენა.

1. **დისკუსია/დებატები** – ინტერაქტიური სწავლების ერთ-ერთი ყველაზე გავრცელებული მეთოდი. დისკუსიის პროცესი მკვეთრად ამაღლებს სტუდენტთა ჩართულობის ხარისხსა და აქტივობას. დისკუსია შესაძლებელია გადაიზარდოს კამათში. ეს პროცესი არ შემოიფარგლება მხოლოდ პროფესორის მიერ დასმული შეკითხვებით. ეს მეთოდი უვითარებს სტუდენტს კამათისა და საკუთარი აზრის დასაბუთების უნარს.

➤ **ჯგუფური (collaborative) მუშაობა** - ამ მეთოდით სწავლება გულისხმობს სტუდენტთა ჯგუფებად დაყოფას და მათთვის სასწავლო დავალების მიცემას. ჯგუფის წევრები ინდივიდუალურად ამუშავებენ საკითხს და პარალელურად უზიარებენ მას ჯგუფის დანარჩენ წევრებს. დასახული ამოცანიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჯგუფის მუშაობის პროცესში წევრებს შორის მოხდეს ფუნქციების გადანაწილება. ეს სტრატეგია უზრუნველყოფს ყველა სტუდენტის მაქსიმალურ ჩართულობას სასწავლო პროცესში.

- **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - სასწავლო მეთოდი, რომელიც ახალი ცოდნის მიღების და ინტეგრაციის პროცესის საწყის ეტაპად იყენებს პრობლემას. სტუდენტი ამ პრობლემის ადეკვატურად გადასაწყვეტად მუშაობს წყაროებზე, სამეცნიერო ლიტერატურაზე, თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიების მეშვეობით მოიძიებს უახლეს სამეცნიერო მიღწევებს შესაბამის სფეროში, სტატიებს, კონფერენციის მასალებს და ყველა იმ მასალას, რომელიც დასმულ პრობლემას უკავშირდება. მოპოვებული მასალებისა და მონაცემების, აგრეთვე საკუთარი მოსაზრებების შეჯერება ხშირად ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნის საფუძველს ქმნის.
- **ასსნა-განმარტებითი მეთოდი** – ეფუძნება მსჯელობას მოცემული საკითხის ირგვლივ. პროფესორს მასალის გადმოცემისას მოჰყავს კონკრეტული მაგალითი, რომლის დაწვრილებით განხილვაც ხდება მოცემული თემის ფარგლებში.
- **ინდუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, როდესაც სწავლის პროცესში აზრის მსვლელობა ფაქტებიდან განზოგადებისაკენ არის მიმართული, ანუ მასალის გადმოცემისას პროცესი მიმდინარეობს კონკრეტულიდან ზოგადისაკენ.
- **დედუქციური მეთოდი** - განსაზღვრავს ნებისმიერი საგნობრივი ცოდნის ისეთ ფორმას, რომელიც ზოგად ცოდნაზე დაყრდნობით ახალი ცოდნის აღმოჩენის ლოგიკურ პროცესს წარმოადგენს, ანუ პროცესი მიმდინარეობს ზოგადიდან კონკრეტულისაკენ.
- **ანალიზის მეთოდი** გვეხმარება სასწავლო მასალის, როგორც ერთი მთლიანის, შემადგენელ ნაწილებად დაშლაში. ამით მარტივდება რთული პრობლემის შიგნით არსებული ცალკეული საკითხის დეტალური გაშუქება.
- **სინთეზის მეთოდი** გულისხმობს ცალკეული საკითხების დაჯგუფებით ერთი მთლიანის შედგენას. ეს მეთოდი ხელს უწყობს პრობლემის, როგორც მთელის, დანახვის უნარის განვითარებას.
- **დემონსტრირების (თვალსაჩინოების) მეთოდი** – ეს მეთოდი ინფორმაციის ვიზუალურად წარმოდგენას გულისხმობს. შედეგის მიღწევის თვალსაზრისით ის საკმაოდ ეფექტურია. ხშირ შემთხვევაში უმჯობესია, მასალა ერთდროულად აუდიო და ვიზუალური გზით მივანდოლოთ სტუდენტებს. შესასწავლი მასალის დემონსტრირება შესაძლებელია განხორციელდეს როგორც მასწავლებლის, ისე სტუდენტის მიერ (პრეზენტაცია). ეს მეთოდი გვეხმარება, თვალსაჩინო გავხადოთ სასწავლო მასალის აღქმის სხვადასხვა საფეხური, დავაკონკრეტოთ, თუ რისი შესრულება მოუწევთ სტუდენტებს დამოუკიდებლად; ამავე დროს, ეს სტრატეგია ვიზუალურად წარმოაჩენს საკითხის/პრობლემის არსს.
- **ელექტრონული სწავლება (E-learning)** – ეს მეთოდი მოიცავს სწავლების სამ სახეს:
  - დასწრებული, როდესაც სწავლების პროცესი მიმდინარეობს პროფესორისა და სტუდენტების საკონტაქტო საათების ფარგლებში, ხოლო სასწავლო მასალის გადაცემა ხორციელდება ელექტრონული კურსის საშუალებით.
  - ჰიბრიდული (დასწრებული/დისტანციური), სწავლების ძირითადი ნაწილი მიმდინარეობს დისტანციურად, ხოლო მცირე ნაწილი ხორციელდება საკონტაქტო საათების ფარგლებში.
  - მთლიანად დისტანციური სწავლება გულისხმობს სასწავლო პროცესის წარმართვას პროფესორის ფიზიკური თანდასწრების გარეშე. სასწავლო კურსი თავიდან ბოლომდე დისტანციურად ელექტრონული ფორმატით მიმდინარეობს.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისას გამოიყენება ელექტრონული სწავლების პირველი და მეორე მოდელის მონაცვლეობა.

### და სხვა.

**დასაქმების სფერო:** კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო და არასამთავრობო სექტორში (კომერციული ბანკები, სასტუმროები, ღვინის ქარხნები, მიკრო საფინანსო ორგანიზაციები, სადაზღვევო ორგანიზაციები, სახელმწიფო სამსახურები, რეგიონალური სტრუქტურული ერთეულები და ა.შ.). სწავლის გაგრძელების მსურველებს შეუძლიათ სწავლა განაგრძოს მაგისტრატურაში.

**მატერიალურ-ტექნიკური ბაზა:** შეუზღუდავი ინტერნეტით აღჭურვილი კომპიუტერული ცენტრები, საკონფერენციო და საპრეზენტაციო დარბაზები, კეთილმოწყობილი აუდიტორიები, პროფესორ-მასწავლებელთა სალექციო კურსები, მათი პირადი ბიბლიოთეკა და რიდერები, თანამედროვე ბეჭდური და ელექტრონული ლიტერატურით განახლებული, ტექნიკურად აღჭურვილი ბიბლიოთეკა ჩართული საერთაშორისო ქსელში:

2024 წლისათვის თესაუ-ს მომხმარებლისათვის ხელმისაწვდომია შემდეგი საერთაშორისო ელექტრონული საბიბლიოთეკო ბაზები:

**EIFL-ის** დარგობრივი სამეცნიერო მონაცემთა ბაზების ჩამონათვალი კონსორციუმის წევრებისათვის (**სხვადასხვა მიმართულება**) განმარტებებით:

1. Cambridge Journals Online (<https://www.cambridge.org/core>) - ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებები, მათ შორის: ანთროპოლოგია, არქეოლოგია, ხელოვნება, ასტრონომია, ქიმია, კომპიუტერული მეცნიერებები, დრამა და თეატრი, დედამიწისა და გარემოს დაცვა, ეკონომიკა, განათლება, ინჟინერია, ინგლისური ენის სწავლება, ფილმები, მედია, მასობრივი კომუნიკაცია, გეოგრაფია, ისტორია, ენათმეცნიერება, კანონები, ლიტერატურა, მართვა, მათემ ატიკა, მედიცინა, მუსიკა, ფილოსოფია, ფიზიკა, პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობები, ფსიქოლოგია, რელიგია, სოციოლოგია, სტატისტიკა და ალბათობის თეორია.

ბაზა მოიცავს:

- თავისუფალ წვდომას გასული წლების ციფრულ არქივზე 1997 წლიდან.
- 161 ჟურნალს სოციალურმეცნიერებათა (SSCI) (SCI) და 46 ჟურნალს ხელოვნებისა და ჰუმანიტარულმეცნიერებათა დარგში Thomson Reuters-ის ციტირების ინდექსით.
- 384 სახელწოდების ნამყვან ჟურნალს სხვადასხვა დისციპლინაში.
- 2017 წელს ჟურნალების სიას კიდევ დაემატა 20 ჟურნალი სამართლის, ბიოლოგიის, ანთროპოლოგიის, არქეოლოგიის, და სხვა სფეროებიდან.

**2. e-Duke Journals Scholarly Collection** (<https://read.dukeupress.edu/>) -

ანთროპოლოგია, ხელოვნება და ხელოვნების ისტორია, კრიტიკა და თეორია, კულტუროლოგია, ეკონომიკა, განათლება, გარემოს დაცვა, ეთნოგრაფია, ევროპის მცოდნეობა, მხატვრული ლიტერატურა და პოეზია, ფილმი და მედია კვლევები, თეატრისა და წარმოდგენის შესწავლა, გენდერული სწავლება, ლიტერატურათმცოდნეობა, ისტორია, საერთაშორისო და რეგიონალური კვლევები, ახლო აღმოსავლეთის კვლევები, მუსიკის თეორია, პედაგოგია, ფილოსოფია, პოლიტიკა, რელიგიური კვლევები, სამეცნიერო კვლევები, სოციოლოგია და სოციალური თეორია, აფრიკული კვლევები, აზიური კვლევები, ჯანმრთელობის დაცვა.

ბაზა მოიცავს:

- ხელოვნების, ჰუმანიტარული და სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალებს ციტირების მაღალი ინდექსით,
- ასევე, ჟურნალებს გამომცემლობა Scopus-დან.

**3. Edward Elgar Publishing Journals and Development Studies e-books** (<https://www.elgaronline.com>) -

წიგნები ფინანსთა, ეკონომიკის, ინოვაციური კვლევების, ინფრასტრუქტურის განვითარების, ჯანდაცვის, კორპორაციული მართვის, საჯარო და სოციალური მმართველობის, მიგრაციის, კვლევის მეთოდების, ინტელექტუალური საკუთრების, სამართლებრივ და სხვ. კვლევათა განვითარების შესახებ. ჟურნალები ეკონომიკისა და ეკონომიკური მიმართების ინტერვენციის, ლიდერობის ინსტიტუტისა და ჰუმანიზმის შესახებ. კემბრიჯის საერთაშორისო სამართლის ჟურნალები.

**4. IMechE Journals** (<https://uk.sagepub.com/en-gb/eur/IMEchE>) - მექანიკური

ინჟინერია (გამომცემლობა SAGE)

ბაზა მოიცავს:

- სტატიებს 1847 წლიდან დღემდე;
- ყოველი 18 სახელწოდებიდან 17 ჰელდის Thomson Reuters Journal-ის ციტირებულ სტატიათა რიცხვში;
- ყველა ჟურნალი ინდექსირებულია გამომცემლობა SCOPUS-ში.

**5. SAGE Journals** (<https://journals.sagepub.com>)- ჰუმანიტარული, სოციალურ მეცნიერებათა ტექნოლოგიები, ბიზნესი და აგრეთვე მედიცინის სფერო.

- ბაზა მოიცავს:
- სამეცნიერო სტატიებს მზარდი სტატისტიკით.
- SAGE-ის ჟურნალების 65% წარმოდგენილია, 2010 წლის Thomson Reuters Journal ციტირებად ჟურნალთა ჩამონათვალში (JCR).

**6. Openedition Journals** (<https://www.openedition.org/>) - წარმოდგენილია ფრანგულენოვანი ჟურნალები ჰუმანიტარული და სოციალური მეცნიერებების მიმართულებით.

აქვს ინგლისურენოვანი ინტერფეისი. სტატიების მცირე რაოდენობა პარალელურად გამოქვეყნებულია ინგლისურ, ესპანურ, იტალიურ და პორტუგალიურ ენებზე.

7. ACM Digital Library - <https://dl.acm.org/> - საინფორმაციო ტექნოლოგიები, პროგრამული უზრუნველყოფა, მონაცემთა ანალიტიკა, ხელოვნური ინტელექტი, კიბერუსაფრთხოება.

ბაზაში წარმოდგენილია ჟურნალები, საკონფერენციო მასალები, გაზეთები, ვებსაიტები და მულტიმედია ფაილები. აგრეთვე კომპიუტერული ლიტერატურის გამკვლევეები და სხვა ციტირებული ნაშრომები.

HEINONLINE სამართლის მონაცემთა ბაზა: <https://heinonline.org/HOL/Welcome> (გარედან წვდომის სერვისის უზრუნველყოფით).

სამართლის ელექტრონულ ბიბლიოთეკა: [library.court.ge](http://library.court.ge) - ბიბლიოთეკაში ელექტრონული ფორმით შეკრებილია 1 500-ზე მეტი იურიდიული ლიტერატურა და სასამართლო გადაწყვეტილებები. შესაბამისად, მკითხველს შეუძლია ნებისმიერი ადგილიდან, ნებისმიერ დროს ისარგებლოს ბიბლიოთეკის ელექტრონული ბაზით. ბიბლიოთეკა ყველა მკითხველისათვის უფასოდ არის ხელმისაწვდომი, შესაბამისი რეგისტრაციის შემდეგ.

შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდიდან:

Elsevier-ის მონაცემთა ბაზები:

1. ScienceDirect@online <http://www.scopus.com>
2. Scopus@ online <https://www.sciencedirect.com>

EBSCO-ს მონაცემთა ბაზები:

აგრარული მიმართულება:

EBSCO Food Science Source (გარედან წვდომის სერვისის უზრუნველყოფით).

ტურიზმის მიმართულება:

EBSCO Hospitality & Tourism Complete (გარედან წვდომის სერვისის უზრუნველყოფით).

ელექტრონული წიგნების და ჟურნალების ბაზა (oxford university):

განათლება - <https://academic.oup.com/books/search-results?q=&tax=AcademicSubjects/SOC01940>

ლინგვისტიკა - <https://academic.oup.com/books/search-results?q=&tax=AcademicSubjects/AHU01290>

გარემოსდაცვა - <https://academic.oup.com/books/search-results?q=&tax=AcademicSubjects/SOC02100>

ბიზნესი და მენეჯმენტი - <https://global.oup.com/academic/category/social-sciences/business-and-management/?lang=en&cc=ge>

ეკონომიკა <https://global.oup.com/academic/category/social-sciences/economics/?lang=en&cc=ge>

ფინანსები <https://global.oup.com/academic/category/law/financial-law/?lang=en&cc=ge>

**სტუდენტის ცოდნის შეფასების სისტემა:** სტუდენტთა ცოდნის შეფასება და კრედიტის მინიჭება ხდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის №3 ბრძანების და სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესის შესახებ დებულების (დამტკიცებული წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე: ოქმი №5 14.03.2018წ.) შესაბამისად. დეტალურად იხ. სასწავლო კურსების სილაბუსები. შეფასების სისტემა უშვებს:

ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას:

- (A) ფრიადი – შეფასების 91-100 ქულა;
- (B) ძალიან კარგი – მაქსიმალური შეფასების 81-90 ქულა;
- (C) კარგი – მაქსიმალური შეფასების 71-80 ქულა;
- (D) დამაკმაყოფილებელი – მაქსიმალური შეფასების 61-70 ქულა;
- (E) საკმარისი – მაქსიმალური შეფასების 51-60 ქულა.

ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას:

- (FX) ვერ ჩააბარა – მაქსიმალური შეფასების 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება;
- (F) ჩაიჭრა – მაქსიმალური შეფასების 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი.

**მითითება:** ყველა სილაბუსში განსაზღვრულია შუალედური შეფასებების (არაუმეტეს 60%-ისა) და დასკვნითი გამოცდის შეფასების (არაუმეტეს 60%-ისა) მინიმალური კომპეტენციის ზღვარი. თითოეულ საგანში სტუდენტს კრედიტი ენიჭება მხოლოდ სტუდენტის მიერ სილაბუსით დაგეგმილი სწავლის შედეგების მიღწევის შემდეგ, რაც გამოიხატება ზემოთ მოყვანილი ერთ-ერთი დადებითი შეფასების საფუძველზე, რომელიც შედგება შუალედურ და დასკვნით შეფასებებში მიღებული ქულათა ჯამისაგან მინიმალური კომპეტენციის გათვალისწინებით. სტუდენტს, რომელსაც დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასების გათვალისწინებით საგანმანათლებლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში 0-50 ქულას მიიღებს, უფორმდება შეფასება F-0.

**სწავლების ორგანიზების თავისებურებები:** პროგრამა 180 კრედიტიანია:

- ძირითადი სწავლის სფეროს კომპონენტი – 130 კრედიტი (ძირითად სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი – 110 კრედიტი (მათ შორის პრაქტიკა 10 კრედიტი), ძირითად სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი – 20 კრედიტი)
- თავისუფალი (სავალდებულო) კომპონენტი – 35 კრედიტი
- თავისუფალი (არჩევითი) კომპონენტი – 15 კრედიტი



საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა: “ბიზნესის ადმინისტრირების” სასწავლო გეგმა

№	სავსის კოდი	პროგრამის კომპონენტები	დამფუძვლების წინაპირობა	სავარაუდო სემესტრი	ECTS კრედიტები	საათი		სულ
						საკონტაქტო	დამოუკიდებელი	
<b>სასწავლო კომპონენტი</b>								
<b>ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი - 110 კრედიტი</b>								
1.	SBLS1BAMB1	მათემატიკა ბიზნესისთვის 1	-	1	5	45	80	125
2.	SBLS1BAMi	მიკროეკონომიკის პრინციპები	-	1	5	32	93	125
3.	SBLS1BAMB2	მათემატიკა ბიზნესისთვის 2	მათემატიკა ბიზნესისთვის 1	2	5	45	80	125
4.	SBLS1BAMA	მაკროეკონომიკის პრინციპები	მიკროეკონომიკის პრინციპები	2	5	32	93	125
5.	SBLS1BABoB	ბიზნესის საფუძვლები	-	2	5	32	93	125
6.	SBLS1BABoF	ფინანსების საფუძვლები	-	2	5	32	93	125
7.	SBLS1BEnt	მენარმეობა	-	3	5	32	93	125
8.	SBLS1BABoM	მენეჯმენტის საფუძვლები	-	3	5	32	93	125
9.	SBLS1BATHPMS	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	მათემატიკა ბიზნესისთვის 2	3	5	45	80	125

10.	SBLS1BABI	ბიზნეს ინფორმატიკა	კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები	3	5	32	93	125
11.	SBLS1BABoMk	მარკეტინგის საფუძვლები	-	4	5	32	93	125
12.	SBLS1BABoHRM	ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები	მენეჯმენტის საფუძვლები	4	5	32	93	125
13.	SBLS1BABoMM	მარკეტინგ-მენეჯმენტის საფუძვლები	მარკეტინგის საფუძვლები	4	5	32	93	125
14.	SBLS1BASoB	სტატისტიკა ბიზნესისათვის	ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა	4	5	32	93	125
15.	SBLS1BAFA	ფინანსური აღრიცხვა	-	5	5	80	45	125
16.	SBLS1BAFM	ფინანსური მენეჯმენტი	ფინანსების საფუძვლები	5	5	32	93	125
17.	SBLS1BAOM	ოპერაციული მენეჯმენტი	მენეჯმენტის საფუძვლები	5	5	32	93	125
18.	SBLS1BAPM	პროექტების მართვა	ბიზნესის საფუძვლები	5	5	32	93	125
19.	SBLS1BABoSM	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები	მენეჯმენტის საფუძვლები	6	5	32	93	125
20.	SBLS1BACoIM	ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები	მარკეტინგის საფუძვლები	6	5	32	93	125

21.	SBLS1BAP	პრაქტიკა	<sup>1</sup>	6	10	90	160	250
<b>ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი კომპონენტი - 20 კრედიტი</b>								
1.	SBLS1BASM	მომსახურების მარკეტინგი	მარკეტინგის საფუძვლები		5	32	93	125
2.	SBLS1BAMA	მმართველობითი აღრიცხვა	ფინანსური აღრიცხვა		5	32	93	125
3.	SBLS1BACB	მომხმარებლის ქცევა	-		5	32	93	125
4.	SBLS1BABBC	ბიზნესის კომუნიკაციის საფუძვლები	ბიზნესის საფუძვლები		5	32	93	125
5.	SBLS1BATax	საგადასახადო საქმე	-		5	32	93	125
6.	SBLS1BAEfSP1	ბიზნეს ინგლისური 1	ინგლისური ენა 4		5	46	79	125
7.	SBLS1BAEfSP2	ბიზნეს ინგლისური 2	ბიზნეს ინგლისური 1		5	46	79	125
8.	SBLS1BADfSP1	ბიზნეს გერმანული 1	გერმანული ენა 4		5	46	79	125
9.	SBLS1BAEfSP2	ბიზნეს გერმანული 2	ბიზნეს გერმანული 1		5	46	79	125
10.	SBLS1BARfSP1	ბიზნეს რუსული 1	რუსული ენა 4		5	46	79	125
11.	SBLS1BARfSP2	ბიზნეს რუსული 2	ბიზნეს რუსული 1		5	46	79	125
12.	SBLS1BATM	დროის მენეჯმენტი <sup>2</sup>	მენეჯმენტის		5	32	93	125

<sup>1</sup> ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო კომპონენტი მე-5 სემესტრის ჩათვლით

<sup>2</sup> დროის მენეჯმენტი სტუდენტებს შეეთავაზებათ ქართულ და ინგლისურ ენაზე, სტუდენტს უფლება აქვს აირჩიოს მხოლოდ ერთი მათგანი შესაბამისი პრერეკვიზიტის გათვალისწინებით.

			საფუძვლები					
13.	SBLS1BATMe	Time Management	მენეჯმენტის საფუძვლები, ბიზნეს ინგლისური 2		5	32	93	125
14.	SBLS1BAOSB	მცირე ბიზნესის ორგანიზება	ბიზნესის საფუძვლები		5	32	93	125
15.	SBLS1BAL	ლოჯისტიკის საფუძვლები	მარკეტინგის საფუძვლები		5	32	93	125
16.	SBLS1BAEM	ლონისძიებების მართვა	-		5	32	93	125
17.	SBLS1BAPPHL	ლიდერობა და გუნდის მართვა	-		5			125
18.	SBLS1BAEL	სამეწარმეო სამართალი	-		5	32	93	125
19.	SBLS1BABP	საბაკალავრო ნაშრომი	იხ. <sup>3</sup>	6	10	15	235	250
20.	SBLS1BABoMgt	<b>Basics of Management</b>	ინგლისური 4		5	32	93	125
21.	SBLS1BAE	<b>Entrepreneurship</b>	ინგლისური 4		5	32	93	125
22.	SBLS1BAPMgt	<b>Project Management</b>	ინგლისური 4		5	32	93	125
	<b>თავისუფალი სავალდებულო კომპონენტები</b>					<b>35</b>		
1.	U1AW	აკადემიური წერა	-	1	5	32	93	125
2.	U1CS&IT	კომპიუტერული უნარ-ჩვევები და ინფორმაციული	-	1	5	32	93	125

<sup>3</sup> სტუდენტს ათვისებული უნდა ჰქონდეს ძირითადი სფეროს სავალდებულო საგნები მე-5 სემესტრის ჩათვლით და თავისუფალი სავალდებულო კომპონენტი (35 კრედიტი).

		ტექნოლოგიები						
3.	UIiFM	შესავალი ფილოსოფიურ აზროვნებაში	-	1	5	47	78	125
4.		უცხო ენა <sup>4</sup>	-	1,2,3,4	20	46	79	125
<b>თავისუფალი არჩევითი კომპონენტი</b>					<b>15</b>			
1.	FECD&C	დემოკრატია და მოქალაქეობა	-		5	32	93	125
2.	FECGCoGH	ზოგადი კურსი საქართველოს ისტორიაში	-		5	45	80	125
3.	FECL	ლოგიკა	-		5	47	78	125
4.	FECGCoP	შესავალი კურსი პოლიტოლოგიაში	-		5	32	93	125
5.	FECA&PPIG	ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესები საქართველოში	-		5	32	93	125
6.	FECRoCRbyIA	კატასტროფის რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით	-		5	32	93	125
7.	FECRoCS	სამოქალაქო საზოგადოების როლი	-		5	32	93	125
8.	ENS1BGe	ზოგადი გეოგრაფია	-		5	32	93	125
9.	FECCA	კომპიუტერის	-		5	46	79	125

<sup>4</sup> ყოველი წინა ნაწილი

		არქიტექტურა						
10.	SBLS1PADSEU	ევროკავშირი და საქართველოს ევროპული ინტეგრაცია	-		5	36	89	125
11.	EDS1PLTGF	ზოგადი ფსიქოლოგია	-		5	45	80	125

კრედიტების განაწილება სემესტრების მიხედვით

სემესტრი	1	2	3	4	5	6	სულ
ძირითადი სწავლის სფეროს სავალდებულო	10	20	20	20	20	20	110
ძირითადი სწავლის სფეროს არჩევითი	0	0	5	5	5	5	20
თავისუფალი სავალდებულო სავალდებულო	20	5	5	5	0	0	35
თავისუფალი არჩევითი არჩევითი	0	5	0	0	5	5	15
<b>ჯამი</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>30</b>	<b>180</b>

სწავლის შედეგების რუქა:

საგალღებულო კომპონენტის/ საგნების დასახელება	შედეგ ი 1	შედეგ ი 2	შედეგ ი 3	შედეგ ი 4	შედეგ ი 5	შედეგ ი 6	შედეგ ეგ <sup>0</sup> 7	შედეგ გ <sup>0</sup> 8	შედეგ ი 9	შედეგ ა 10
მათემატიკა ბიზნესისთვის 1				✓	✓					
მიკროეკონომიკის პრინციპები	✓				✓		✓			
მათემატიკა ბიზნესისთვის 2				✓	✓					
მაკროეკონომიკის პრინციპები					✓		✓			
ბიზნესის საფუძვლები	✓	✓					✓			
ფინანსების საფუძვლები			✓					✓		
მენარმეობა	✓		✓				✓			✓
მენეჯმენტის საფუძვლები	✓	✓				✓				
ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა				✓						
ბიზნეს ინფორმატიკა								✓		
მარკეტინგის საფუძვლები	✓		✓				✓		✓	
აღამიანური		✓	✓			✓				

რესურსების მართვის საფუძვლები										
მარკეტინგ-მენეჯმენტის საფუძვლები			✓				✓		✓	
სტატისტიკა ბიზნესისათვის				✓						
ფინანსური აღრიცხვა					✓			✓		
ფინანსური მენეჯმენტი					✓			✓		
ოპერაციათა მენეჯმენტი	✓								✓	
პროექტების მართვა	✓	✓				✓			✓	✓
სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძველი	✓		✓			✓				
ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები							✓			
პრაქტიკა	✓	✓	✓	✓		✓	✓			✓

სწავლის შედეგების შეფასების რუკა

სავალდებულო კომპონენტის/ სავნების დასახელება	შედეგი 1	შედეგი 2	შედეგი 3	შედეგი 4	შედეგი 5	შედეგი 6	შედეგი 7	შედეგი 8	შედეგი 9	შედეგი 10
მათემატიკა ბიზნესისთვის 1				1	1					
მიკროეკონომიკის პრინციპები	1				1		1			
მათემატიკა ბიზნესისთვის 2				1	1					
მაკროეკონომიკის პრინციპები					1		1			
ბიზნესის საფუძვლები	1	1					1			
ფინანსების საფუძვლები			1					1		
მენარმეობა	1		1				1		1	1
მენეჯმენტის საფუძვლები	1	1				1				
ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა				1						

ბიზნეს ინფორმატიკა							1			
მარკეტინგის საფუძვლები	1		1				1		1	
ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები		2	2				2			
მარკეტინგ-მენეჯმენტის საფუძვლები			2				2		2	
სტატისტიკა ბიზნესისათვის				2						
ფინანსური აღრიცხვა					2			2		
ფინანსური მენეჯმენტი					3			3		
ოპერაციული მენეჯმენტი	2								2	
პროექტების მართვა	2	2					2		3	2
სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძველი	2		2				2			
ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაციები							2			
პრაქტიკა	3	3	3	3			3	3		3

მითითება: 1-გაცნობა, 2-გაღრმავება, 3-განმტკიცება

დანართი 4

**პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა**

პროგრამის მიზნები	პროგრამის სწავლის შედეგი 1	პროგრამის სწავლის შედეგი 2	პროგრამის სწავლის შედეგი 3	პროგრამის სწავლის შედეგი 4	პროგრამის სწავლის შედეგი 5	პროგრამის სწავლის შედეგი 6	პროგრამის სწავლის შედეგი 7	პროგრამის სწავლის შედეგი 8	პროგრამის სწავლის შედეგი 9	პროგრამის სწავლის შედეგი 10
1	✓	✓			✓					
2			✓	✓		✓	✓	✓	✓	✓

**საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი:**

ბიზნესის მართვის ძირითადი პრინციპების ფართო თეორიული ცოდნის პრაქტიკაში გამოყენებისა და კრიტიკული აზროვნების უნარის მქონე კონკურენტუნარიანი ბაკალავრის მომზადება, რომელიც მისი კომპეტენციის ფარგლებში შეძლებს:

- ბაზარზე ორიენტირებული ხედვით, ბიზნესის დაგეგმვას, კონტროლს და ადმინისტრირებას;
- ბიზნესის ეთიკისა და სოციალური პასუხისმგებლობის დაცვით, ბიზნესის სფეროსთვის დამახასიათებელი მმართველობითი, ფინანსური და მარკეტინგული საქმიანობის ეფექტურად განხორციელებას.

დანართი 5

**ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნულები შედეგების/კომპეტენციების მიხედვით**

შედეგები	სამიზნე ნიშნული
1. აღწერს ბიზნეს სუბიექტების ფუნქციონირებაზე მოქმედ შიდა და გარე გარემოს, კომპანიის განვითარების ძირითად მიმართულებებს და სტრატეგიის ძირითად ინსტრუმენტებს, ბიზნესის ფუნქციონალურ სფეროში მიმდინარე	კომპანიის შიდა და გარე ფაქტორის კლასიფიცირება, მათი განმარტება  კომპანიის ფასეულობებისა და კონკურენტული

<p>მოვლენებსა და ბიზნეს პროცესებს;</p>	<p>რესურსების კლასიფიცირება</p> <p>კომპანიის SWOT და PEST ანალიზი</p> <p>სტუდენტთა 70%- მა 30 ქულიანი შეფასებიდან უნდა მიიღონ არანაკლებ 16 ქულა</p>
<p>2. აღწერს ორგანიზაციაში მართვის ძირითად ელემენტებს, მათ მნიშვნელობას კომპანიის წარმატებაში, მართვის ძირითად თეორიებსა და კონცეფციებს, მენეჯმენტისა და მენეჯერის ფუნქციებს და პასუხისმგებლობას;</p>	<p>მართვის ფუნქციები, მეთოდები, ძირითადი პრინციპები</p> <p>მენეჯმენტის დანიშნულება</p> <p>მენეჯერის ფუნქციები და პასუხისმგებლობა</p> <p>მენეჯერული უნარები</p> <p>სტუდენტთა 70%- მა 30 ქულიანი შეფასებიდან უნდა მიიღონ არანაკლებ 16 ქულა</p>
<p>3. განიხილავს მარკეტინგულ სტრატეგიებსა და პოლიტიკას, ეფექტურად აჩვენებს ადამიანური და ფინანსური რესურსების გამოყენების გზებს;</p>	<p>მარკეტინგული სტრატეგიებისა და პოლიტიკის განსაზღვრა</p> <p>ადამიანური და ფინანსური რესურსების დაგეგმვა და გამოყენება</p> <p>სტუდენტთა 70%- მა 30 ქულიანი შეფასებიდან უნდა მიიღონ არანაკლებ 16 ქულა</p>
<p>4. ახდენს სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვების და დამუშავების მეთოდების იდენტიფიცირებას;</p>	<p>სტატისტიკური ინფორმაციის არსი</p> <p>სტატისტიკური ინფორმაციის მოპოვება, დამუშავება, ანალიზი</p> <p>სტუდენტთა 70%- მა 30 ქულიანი შეფასებიდან უნდა მიიღონ არანაკლებ 16 ქულა</p>
<p>5. მათემატიკური ელემენტების გამოყენებით იხილავს მოთხოვნისა და მიწოდების კანონებს, მაკროეკონომიკის ძირითად მაჩვენებლებს, საბაზრო მექანიზმის ძირითად მახასიათებლებს</p>	<p>მოთხოვნა-მიწოდების კანონების განმარტება, გაანგარიშება</p> <p>ელასტიურობის განსაზღვრა</p>

<p>და ფინანსურ ინსტრუმენტებს.</p>	<p>ერთობლივი მოთხოვნა და ერთობლივი მიწოდება</p> <p>მაკროეკონომიკის ძირითადი მაჩვენებლების გაანგარიშება</p> <p><b>სტუდენტთა 70%- მა 30 ქულიანი შეფასებიდან უნდა მიიღონ არანაკლებ 16 ქულა</b></p>
<p>6. ანალიზებს კომპანიის რესურსების გამოყენებას, პროექტების მართვასთან, სტრატეგიულ დაგეგმვასთან დაკავშირებული პრობლემებს და შეიმუშავებს არსებული პრობლემების გადაჭრის გზებს;</p>	<p>კომპანიის რესურსების გამოყენების კონტროლის ფორმები და მეთოდები</p> <p>მენეჯმენტის ძირითადი ამოცანების განსაზღვრა დელეგირება</p> <p>პროექტის მართვის და რეგულირების ელემენტები</p> <p>კომპანიის სტრატეგია, მისია, მიზნები და ამოცანები</p> <p><b>სტუდენტთა 70%- მა 30 ქულიანი შეფასებიდან უნდა მიიღონ არანაკლებ 16 ქულა</b></p>
<p>7. ახდენს ბიზნეს გარემოსა და ბიზნესთან დაკავშირებული რისკების იდენტიფიცირებას და რისკების მართვის მექანიზმის გამოყენებით ახორციელებს მასზე რეაგირებას;</p>	<p>კონკურენტების შეფასება, მომწოდებელი და მომხმარებელი,</p> <p>სტრატეგიების ანალიზი,</p> <p>სტიმულირების საშუალებები</p> <p><b>სტუდენტთა 70%- მა 30 ქულიანი შეფასებიდან უნდა მიიღონ არანაკლებ 16 ქულა</b></p>
<p>8. ბიზნესის ღირებულების ზრდის და ფინანსური რესურსების ეფექტიანად გამოყენებისათვის ახდენს ფინანსური აღრიცხვისა და კონტროლის ინსტრუმენტების შერჩევას, აღწერას, შეფასებას, რეაგირებას და ფინანსური ანგარიშგების დემონსტრირებას;</p>	<p>კომპანიის ფინანსური მახასიათებლები</p> <p>ლიკვიდობა</p> <p>ფინანსური ინსტრუმენტები</p>

	<p>ფინანსური ანგარიშგების სისტემა</p> <p>ფინანსური დოკუმენტაციის შედგენა</p> <p><b>სტუდენტთა 70%- მა 30 ქულიანი</b></p> <p><b>შეფასებიდან უნდა მიიღონ არანაკლებ 16 ქულა</b></p>
<p>9. ახდენს კომპანიის საქმიანობისას წამოჭრილი პრობლემების იდენტიფიცირებას, მათი გადაჭრის ალტერნატიული გზების ჩვენებას, ანალიზის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების გამოყენებით, მიზნობრივი პროექტების შემუშავებას და დემონსტრირებას საინფორმაციო ტექნოლოგიების გამოყენებით;</p>	<p>პროექტების დაგეგმვა</p> <p>საპროექტო ცხრილები და დიაგრამები,</p> <p>მომხმარებლის გადანყვეტილების მიღების პროცესი, სეგმენტაციის პარამეტრები, მიზნობრივი ბაზრის განსაზღვრა, მარკეტინგული კომპლექსი, კომუნიკაციის სტრატეგია, ბრენდირების პროცესი</p> <p><b>სტუდენტთა 70%- მა 40 ქულიანი</b></p> <p><b>შეფასებიდან უნდა მიიღონ არანაკლებ 21 ქულა</b></p>
<p>10. გუნდში ლიდერობის ან/და თანამშრომლობითი პრინციპების გათვალისწინებით მოქმედებისას, პატივს სცემს და იცავს ორგანიზაციის სოციალურ პასუხისმგებლობას და ბიზნეს ეთიკის ნორმებს, რის საფუძველზეც, სსჭიროების შესაბამისად ადგენს საკუთარი სწავლისადა პროფესიული განვითარების სამოქმედო გეგმას.</p>	<p>პრაქტიკის პრეზენტაცია</p> <p><b>სტუდენტთა 70%- მა 30 ქულიანი</b></p> <p><b>შეფასებიდან უნდა მიიღონ არანაკლებ 16 ქულა</b></p>

სწავლის შედეგის შეფასების მიზნით ხორციელდება სტუდენტთა მიღწევების შეფასება სასწავლო კურსებში და სტუდენტთა მიღწევებით იზომება, როგორც მათი თეორიული საბაზისო ცოდნა, ისე მათი პრაქტიკული უნარ-ჩვევები.

უნივერსიტეტში არსებობს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების შეფასების სისტემა და მათი შედარება კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემის (ECTS) მიერ შემუშავებულ სტუდენტთა რანჟირების სკალის მონაცემებთან, მაგალითად, შედეგები ითვლება, რომ ნორმალურია თუ:

1. სტუდენტების რაოდენობა შეფასებით A არ აღემატება საერთო რაოდენობის 10%-ს;
2. მომდევნო შეფასებები ნაწილდება შემდეგნაირად: B-25%; C-30%; D-25%;

3. სტუდენტების რაოდენობა შეფასებით E არ აღემატება საერთო რაოდენობის 10%-ს; ანუ სტუდენტების უმრავლესობას საშუალო მოსწრება უნდა ჰქონდეს, ხოლო ძალიან მაღალი და დაბალი ქულები კი – სტუდენტთა საერთო რაოდენობის 10-10%-ს. შედარების შემდეგ დგინდება გადახრების (ასეთის არსებობის შემთხვევაში) მიზეზები და შემუშავდება რეკომენდაციები.

**სასწავლო კურსების პროგრამები (სილაბუსები):** იხ. დამატებით.

**პროგრამის ხელმძღვანელის CV:** იხ. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი (<http://www.tesau.edu.ge/socialur-mecnierebata-biznesisa-da-samartlis-fakulteti/departamentebi3>)

**ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის აუცილებელი ადამიანური რესურსის შესახებ**

	<b>სახელი, გვარი</b>	<b>აკადემიური ხარისხი</b>	<b>სტატუსი</b>	<b>სასწავლო კომპონენტი</b>
1.	ნანა რინკიაშვილი	ეკონომიკის დოქტორი	ათელირ. პროფ.	ბიზნესის საფუძვლები, მიკროეკონომიკის პრინციპები, მაკროეკონომიკის პრინციპები, მენარმეობა
2.	ნინო კახაშვილი	ფილოლოგიის დოქტორი	ათელ. ასოც. პროფ.	აკადემიური წერა
3.	ია ჯიმშიტაშვილი	ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატი	ათელ. პროფ.	მენეჯმენტის საფუძვლები, პრაქტიკა, დროის მენეჯმენტი, საბაკალავრო ნაშრომი, მომხმარებლის ქცევა, Basics of Management, Time Management
4.	ნანული ხიზანიშვილი	ეკონომიკის დოქტორი	ათელ. ასოც. პროფ.	სტატისტიკა ბიზნესისათვის, მარკეტინგის საფუძვლები, ლოჯისტიკა, საბაკალავრო ნაშრომი
5.	მაია ალადაშვილი	სოციალურ მეცნიერებათა დოქტორი ეკონომიკაში	ათელ. ასოც. პროფ.	ფინანსური მენეჯმენტი, ფინანსების საფუძვლები, ადამიანური რესურსების მართვის საფუძვლები, საბაკალავრო ნაშრომი
6.	ნელი ცქიტიშვილი	ფილოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი	ათელ. ასოც. პროფ.	ლონისძიებების მართვა
7.	რუსუდან დალაქიშვილი-ჭიჭინაძე	ეკონომიკის დოქტორი	მონვეული პროფ.	მარკეტინგ-მენეჯმენტის საფუძვლები, ინტეგრირებული მარკეტინგული

				კომუნიკაციები, მომსახურების მარკეტინგი
8.	მზია მაისურაძე	-	მონვეული მასწ.	ფინანსური აღრიცხვა, მმართველობითი აღრიცხვა
9.	ლალი ჩაგელიშვილი ავლაძე	ეკონომიკის მეცნიერებათა დოქტორი	პროფ.	პროექტების მართვა, ლიდერობა და გუნდის მართვა, მმართველობითი აღრიცხვა, ოპერაციითა მენეჯმენტი Entrepreneurship, Project Management
10.	თამარ როსტიაშვილი	ეკონომიკის აკადემიური დოქტორი	მონვეული პროფ.	სტრატეგიული მენეჯმენტის საფუძვლები, ალბათობის თეორია და მათემატიკური სტატისტიკა, მათემატიკა ბიზნესისთვის
11.	სოლომონ რამაზაშვილი	განათლების მეცნიერებების დოქტორი	აფილ. ასოც. პროფ.	ბიზნესის კომუნიკაციის საფუძვლები, მცირე ბიზნესის ორგანიზება, საბაკალავრო ნაშრომი
12.	შორენა ლაზარიაშვილი	-	აფილ. ასისტენტი	სამენარმეო სამართალი, საგადასახადო საქმე
13.	მარიამ ზაქარიაშვილი	პედაგოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი (ინფორმატიკაში)	აფილ. ასოც. პროფ.	ბიზნეს ინფორმატიკა, კომპიუტერული უნარ- ჩვევები და ინფორმაციული ტექნოლოგიები
14.	ქეთევან შაშვიაშვილი	განათლების დოქტორი	აფილ. ასოც. პროფ.	ბიზნეს ინგლისური 1, 2, ინგლისური ენა 1,2,3,4
15.	ლელა სათარიშვილი	განათლების დოქტორი	მონვეული მასწავლებელი	ბიზნეს გერმანული 1, 2, გერმანული ენა 1,2,3,4
16.	სედა ასატუროვი  მანანა ლამბაშიძე	პედაგოგიკის მეცნიერებათა კანდიდატი ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი	აფილ. ასოც. პროფ.	ბიზნეს რუსული 1, 2. რუსული ენა 1,2,3,4
17.	ირმა შიოშვილი	ფილოსოფიის დოქტორი	აფილ. პროფ.	შესავალი ფილოსოფიურ აზროვნებაში, ლოგიკა
18.	თამარ ლურწკაია	-	მონვეული მასწავლებელი	ზოგადი კურსი საქართველოს ისტორიაში
19.	ნანა ბერძენიშვილი	გეოგრაფიის დოქტორი	აფილ. ასოც. პროფ.	ზოგადი გეოგრაფია
20.	ნათელა	პოლიტიკის	აფილ. ასისტ.	დემოკრატია და

	ბასილაშვილი	მეცნიერების დოქტორი	პროფ	მოქალაქეობა, შესავალი კურსი პოლიტოლოგიაში
21.	შალვა ჭკადუა	ისტორიის დოქტორი	ათილ. ასოც. პროფ.	ხელისუფლება და პოლიტიკური პროცესები საქართველოში, სამოქალაქო საზოგადოების როლი, ევროკავშირი და საქართველოს ევროპული ინტეგრაცია
22.	მეველუდი მასურაძე	-	მონვეული მასწავლებელი	კატასტროფის რისკის შემცირება ინკლუზიური მიდგომით
23.	ალექსანდრე ბენაშვილი	ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი	მონვეული დოქტორი	კომპიუტერის არქიტექტურა
24.	ია ჩაქიაშვილ	ფსიქოლოგიის მეცნიერებათა კანდიდატი	ათილ. ასოც. პროფ	ზოგადი ფსიქოლოგია

